

მიმდინარე ანგარიშგება საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნულ ხომისიას

1. მიმდინარე ანგარიშის წარდგენის თარიღი (ივსება კომისიაში): „_____“ _____ 2009 წელი
2. არსებითი ფაქტის (მოვლენის) მოხდენის თარიღი: **2009 წელი ივნისი**
3. ანგარიშის წარმდგენი საწარმოს დასახელება (წესდების მიხედვით): **სს „საქართველოს ბანკი“**
4. ანგარიშის რეგისტრაციის ნომერი (ივსება კომისიაში): _____
5. ანგარიშის წარმდგენი საწარმოს იურიდიული მისამართი, ტელეფონისა და ფაქსის ნომრები:
ქ. თბილისი, „0105, პუშკინის ქუჩა №3, ტელ: 444-444, 444-227;

მიმდინარე ანგარიშის შინაარსი:

- | | |
|--------------|---|
| საკითხი I | – ცვლილებები აქციათა კონტროლთან დაკავშირებით |
| საკითხი II | – აქტივების შეძენა ან გასხვისება |
| საკითხი III | – ლიკვიდაცია, ლიკვიდატორის დანიშვნა |
| საკითხი IV | – საწარმოს მიერ შერჩეული აუდიტორის შეცვლა |
| საკითხი V | – სამეთვალყურეო საბჭოს წევრის გადადგომა |
| საკითხი VI | – მიმდინარე ანგარიშგების წარდგენის სხვა შემთხვევები |
| საკითხი VII | – ფინანსური ანგარიშგებები |
| საკითხი VIII | – დამადასტურებელი დანართები |
| საკითხი IX | – ხელმოწერები |

საკითხი 1. ცვლილებები აქციათა კონტროლთან დაკავშირებით

საკითხი 2. აქტივების შექმნა ან გასხვისება

საკითხი 3. ლიკვიდაცია, ლიკვიდატორის დანიშვნა

საკითხი 4. საწარმოს მიერ შერჩეული აუდიტორის შიდა

საკითხი 5. სამეთვალყურეო საბჭოს წევრის გადადგომა

საკითხი 6. მიმდინარე ანგარიშგების წარდგინის სხვა შემთხვევები

2009 წლის 15 ივნისის აქციონერთა საერთო კრებამ მიიღო გადაწყვეტილება:

ა) სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა რაოდენობის 7 წევრამდე გაზრდის შესახებ.

ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობის ეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა რაოდენობის გაზრდა 7 წევრამდე.

(შესაბამისი ცვლილება შესულია სს “საქართველოს ბანკი”-ს წესდებაში, იხ. დანართი)

ბ) სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევის შესახებ.

სს “საქართველოს ბანკის” სამეთვალყურეო საბჭოს წევრს, ბატონ იან ჰეიგს ამოეწურა საბჭოს წევრობის 4 წლიანი ვადა და ბატონი იან ჰეიგი ხელახლა იქნა არჩეული სამეთვალყურეო საბჭოს წევრად შემდგომი 4 წლის ვადით.

ამასთანავე, სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით, დანარჩენ ორ ვაკანტურ ადგილზე არჩეულ იქნა ბ-ნ ირაკლი გილაური და ბ-ნ დევიდ მორისონი.. ამასთანავე, ბ-ნ ირაკლი გილაური დარჩა ბანკის გენერალური დირექტორის თანამდებობაზე.

გ) ბანკის ნებადართული კაპიტალის გაზრდისა და ახლადემიტირებულ აქციებზე უპირატესი შესყიდვის უფლების გაუქმების შესახებ.

2008 წლის დეკემბერში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის მიერ გაცემული 52,087,590 აშშ დოლარის ოდენობის სუბორდინირებული კონვერტირებადი სესხის (ან მისი ნაწილის) კონვერტაციის მიზნებისათვის მიზანშეწონილი გახდა ბანკის ნებადართული კაპიტალის გაზრდა, რაც ბანკის მენეჯმენტს საშუალებას მისცემს აღნიშნული სუბორდინირებული კონვერტირებადი სესხის (ან მათი ნაწილის) კონვერტირების შემთხვევაში მოახდინოს ახალი ჩვეულებრივი აქციების გამოშვება 3,472,506 (სამი მილიონ ოთხას სამოცდათორმეტი ათას ხუთას ექვსი) აქციის ოდენობით.

ნებადართული კაპიტალის ფორმით გამოცემულ 3,472,506 (სამი მილიონ ოთხას სამოცდათორმეტი ათას ხუთას ექვსი) აქციაზე გაუქმებულ იქნა უპირატესი შესყიდვის უფლება, რათა საჭიროების შემთხვევაში სასწრაფოდ მოხდეს ახალი აქციების გამოშვება. ამასთან, აქციებზე უპირატესი შესყიდვის უფლება გაუქმდება იმ პირობით, რომ აქციების გამოშვება მოხდება 2008 წლის 30 დეკემბერს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკსა და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასთან ხელმოწერილი სუბორდინირებული კონვერტირებადი სესხის ხელშეკრულებების შესაბამისად.

(შესაბამისი ცვლილება შესულია სს “საქართველოს ბანკი”-ს წესდებაში, იხ. დანართი)

2009 წლის 22 ივნისის მდგომარეობით სს „საქართველოს ბანკი“-ს:

განცხადებული საწესდებო კაპიტალი – 43,308,125 ლარი.

განაღლებული საწესდებო კაპიტალი – 31,271,525 ლარი.

საკითხი 7. ფინანსური ანგარიშგამები

საკითხი 8. დამადასტურებელი დანართები

სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკი“-ის წესდების ახალი რედაქციის ნოტარიულად დამოწმებული ასლი.

საკითხი 9. ხელმოწერები

მიმდინარე ანგარიშზე ხელისმომწერი პირი, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-10 პუნქტის მიხედვით, პასუხისმგებელია მასში არსებითი ინფორმაციის გამოტოვებისა და თუ არასწორად გადმოცემისათვის. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 165⁵ მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, მმართველი ორგანოს წევრებს დაეკისრებათ ჯარიმა ყალბ ან შეცდომაში შეყვან ანგარიშზე ხელმოწერისათვის.

გენერალური დირექტორის მოადგილე

გ.ჭილაძე

გენერალური დირექტორის მოადგილე

ანაპინჩიშვილი

